საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 124 2022 წლის 25 იანვარი ქ. თბილისი

საქართველოს ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგიის
(2022 – 2026 წ. წ.) დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს საქართველოს ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგია (2022 – 2026 წ. წ.) თანდართული რედაქციით.

№1

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი

საქართველოს
ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგია
(2022–2026 წ. წ.)

შესავალი

2022-2026 წლების საქართველოს ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა წარმოადგენს დოკუმენტს, საქართველოს მიერ ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით განსახორციელებელი კომპლექსური ძალისხმევის შესახებ. საქართველოს ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის მიზანია სახელმწიფოსა და საზოგადოების დაცვა ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმიდან მომდინარე საფრთხეებისგან.

წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს საქართველოს ხედვას ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით, სახელმწიფოს მხრიდან გაწეულ კონტრტერორისტულ ძალისხმევას და არსებულ გამოწვევებთან გასამკლავებლად განსახორციელებელ აქტივობებს. ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული საფრთხეების წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლის კუთხით, სახელმწიფო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სართაშორისო პარტნიორების, კერძო სექტორისა და ფართო სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას.

საქართველოს კონტრტერორისტული სტრატეგია ეფუძნება შვიდ ძირითად მიმართულებას: ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, პრევენცია, დაცვა, მზადყოფნა, დევნა, სამართლებრივი რეგულირების ჩარჩოს განვითარება და საერთაშორისო თანამშრომლობა. თითოეული მათგანი განსაზღვრავს სახელმწიფოს მიერ კონკრეტული მიმართულებით გასატარებელ ღონისძიებებს.

აღნიშნული დოკუმენტის შექმნისას, ქვეყანაში ამჟამად არსებული კონტრტერორისტული გამოწვევების გარდა, გათვალისწინებული იქნა მსოფლიოში, რეგიონსა და საქართველოში არსებული უსაფრთხოების ზოგადი გარემო, სახელმწიფოს მიერ გატარებული უსაფრთხოების ერთიანი პოლიტიკა და 2019-2021 წლების ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის შესრულების დროს აღმოჩენილი გამოწვევები და მიღებული გამოცდილება.

2019-2021 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ფარგლებში განხორციელდა წარმატებული აქტივობები. სახელმწიფომ პირველად მოახდინა

ძალისხმევის კონსოლიდაცია და ძალადობრივი ექსტრემიზმის საფრთხეებთან გამკლავების პროცესში, მოვლენების დანახვა უსაფრთხოების პრიზმის მიღმა.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის საკითხს და აღნიშნულიდან გამომდინარე, მხოლოდ ანალიზზე დაყრდნობით შეიქმნა კონტრტერორისტული პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულებები.

გასული წლების სტრატეგიის განხორციელების პროცესში მთავარ ამოცანას წარმოადგენდა სახელმწიფოს მიერ პრევენციული მიდგომების შემუშავება და მისი ინსტიტუციონალიზაცია. კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში სახელმწიფოს მთავარი მოკავშირეა განათლება, სპორტი, კულტურული ღონისძებები, სამოქალაქო ჩართულობა, ადამიანის უფლებების დაცვა, გენდერულად მგრძნობიარე მიდგომები, დასაქმება და სხვა ისეთი მიმართულებები, რომლებიც უსაფრთხოების პრიზმის მიღმა, უფრო ფართო ინსტრუმენტებით უმკლავდება ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმიდან მომდინარე გამოწვევებს.

ტერორიზმის, ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის დეფინიციები

ტერორიზმი - ძალადობა ან ძალადობის გამოყენების მუქარა, მიმართული ფიზიკური ან იურიდიული პირების წინააღმდეგ, შენობა-ნაგებობების, სატრანსპორტო საშუალებების, კომუნიკაციების და სხვა მატერიალური ობიექტების განადგურება-დაზიანება, ან მათი განადგურება-დაზიანების მუქარა იარაღის, ასაფეთქებელი მასალების, ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური თუ სხვა, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ნივთიერების გამოყენებით ან ადამიანის გატაცებით, თუ მძევლად აყვანით, რათა ხელისუფლება ან/და მისი რომელიმე ორგანო ან საერთაშორისო ორგანიზაცია იძულებული გახდეს, განახორციელოს გარკვეული ქმედება ან თავი შეიკავოს გარკვეული ქმედების განხორციელებისაგან, რომელიც ტერორისტების მართლსაწინააღმდეგო ინტერესებში შედის.

ძალადობრივი ექსტრემიზმი - იდეათა ერთობლიობა/იდეოლოგია, რომელიც ბრ აღიარებს ადამიანთა თანასწორობის პრინციპს, მხარს უჭერს სიძულვილს, შეუწყნარებლობას, ახორციელებს ძალადობას ან მოუწოდებს ძალადობისკენ, საფრთხეს უქმნის ქვეყნის დემოკრატიულ წყობას და კანონის უზენაესობას.

რადიკალიზაცია - პროცესი, როდესაც პირი, საკუთარი მოსაზრებების გავრცელებისა და გარკვეული იდეოლოგიის მხარდაჭერისას, შესაძლოა ჩაერთოს ტერორისტულ ან/და ძალადობრივ ექსტრემისტულ საქმიანობაში.

პრინციპები

საქართველოს ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციისას, სახელმწიფო ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით:

- სამართლის უზენაესობა და კანონიერება;
- ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა;
- თანასწორობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა;
- კონტრტერორისტული საქმიანობის განხორციელებისას, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის პრიორიტეტულობა;
- კონტრტერორისტულ ღონისძიებათა შორის ნაკლებდამაზიანებელი საშუალების გამოყენების უპირატესობა;
- კონტრტერორისტული საქმიანობის განხორციელებისას, სახელმწიფო სუბიექტების ერთიანობა;
- კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარებისას კონკრეტული ღონისძიებების ამსახველი, მათი შინაარსობრივი და მონაწილე პირთა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გახმაურების დაუშვებლობა;
- ტერორისტული საქმიანობისათვის სასჯელის გარდაუვალობა;
- ოპერატიულობა და უწყვეტობა;
- საერთაშორისო თანამშრომლობა;
- ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა.

არსებული ვითარების მიმოხილვა

ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული გამოწვევები თანამედროვე მსოფლიოს მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის. საერთაშორისო დონეზე მიმდინარე პროცესები, ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული ტენდენციები მნიშვნელოვნად აისახება სახელმწიფო უსაფრთხოების გარემოზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, კონტრტერორისტული საქმიანობის განხორციელებისას, აუცილებელია მსოფლიოში არსებული ვითარების სრულყოფილი შეფასება.

COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული ახალი რეალობიდან გამომდინარე, შეეცირდა საჯარო თავშეყრის ადგილებში მასშტაბური ტერაქტების განხორციელების შესაძლებლობა, თუმცა სხვადასხვა ქვეყანაში ტერორისტულ გამოვლინებებს კვლავ ჰქონდა ადგილი. მსოფლიოსთვის კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა „დაეშის“, „ალ-კაიდასა“ და მათთან აფილირებული რეგიონული დანაყოფების მხრიდან მომდინარე საფრთხეები. 2021 წელს ავღანეთში განვითარებულმა მოვლენებმა კი დღის წესრიგში ახალი გამოწვევები დააყენა.

ამავდროულად, მსოფლიო მასშტაბით გამოიკვეთა ულტრამემარჯვენე ექსტრემისტული ჯგუფების ან აღნიშნული იდეების მომხრე პირთა მხრიდან რასობრივ, ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე გახშირებული თავდასხმები და მათგან საზოგადოების დაცვის აუცილებლობა.

საგულისხმოა, რომ მსოფლიოში, COVID-19-ის გავრცელების ფონზე, აშკარა გახდა ბიოლოგიური ტერორიზმისგან საზოგადოების დაცვის მიმართულებით არსებული გამოწვევები.

ტერორისტული ორგანიზაციები

„დაეში“

განცდილი დანაკარგების მიუხედავად, „დაეშმა“ ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნება შეძლო. ტერორისტული ორგანიზაცია, მისი რეგიონული დანაყოფები თუ დამოუკიდებლად მოქმედი მხარდამჭერები კვლავ ახორციელებდნენ თავდასხმებს სხვადასხვა ქვეყანაში, ასევე, პირთა რადიკალიზაციასა და საკუთარ რიგებში გადაბირებას. ამასთან, „დაეში“ ადაპტირდა პანდემიით გამოწვეულ ახალ რეალობასთან და მხარდამჭერებს ახალი ტერორისტული ნარატივი შესთავაზა.

საერთაშორისო კოალიციის მხრიდან მნიშვნელოვანი ძალისხმევისა და აქტიური კონტრტერორისტული ღონისძიებების მიუხედავად, კვლავ ფიქსირდებოდა „დაეშის“ მიერ სირიასა და ერაყში განხორციელებული თავდასხმები. მნიშვნელოვან გამოწვევად დარჩა სირიის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ბანაკებსა და ციხეებში მყოფი „დაეშის“ ტერორისტი მებრძოლებისა და მათი ოჯახის წევრების საკითხი. აღნიშნულ ბანაკებში არაერთხელ დაფიქსირდა შეტაკებები და შეიარაღებული დაპირისპირება, ხოლო ადგილზე მყოფი პირები ბანაკებიდან გაქცევას და სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე შეღწევას ცდილობდნენ.

ბოლო წლების განმავლობაში „დაეშის“ რეგიონული დანაყოფები და მასთან აფილირებული ადგილობრივი დაჯგუფებები განსაკუთრებით გააქტიურდნენ აფრიკაში. ისინი რეგულარულად ესხმიან თავს ადგილობრივ უსაფრთხოების ძალებს, საერთაშორისო მისიების ფარგლებში რეგიონის ქვეყნებში დისლოცირებულ შეიარაღებულ ძალებსა და მშვიდობიან მოქალაქეებს.

საგულისხმოა „დაეშის“ აქტივობები ავღანეთშიც. „თალიბანის“ მიერ ძალაუფლების მოპოვების, კონფლიქტის ზონიდან საერთაშორისო სამხედრო დანაყოფებისა და მშვიდობიანი მოქალაქეების ევაკუაციის პირობებში, „დაეშის“ ადგილობრივი ფრთის მიერ განხორციელებულმა მასშტაბურმა ტერაქტებმა ტერორისტული ორგანიზაციის ძალისა და შესაძლებლობების დემონსტრირება მოახდინა.

„თალიბანი“

„თალიბანისგან“ მომდინარე საფრთხეები ბოლო პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა. ტერორისტული ორგანიზაციის მიერ ავღანეთში ძალაუფლების მოპოვების შედეგად, იგი გარკვეულწილად ახალი სახის გამოწვევად ჩამოყალიბდა რეგიონული უსაფრთხოების კუთხით. მოცემულ ეტაპზე „თალიბანის“ დღის წესრიგში არ იკვეთება ავღანეთის ტერიტორიის მიღმა აქტიური ტერორისტული მოქმედებების წარმოება. აღნიშნულის მიუხედავად, მისი გაძლიერებით გამოწვეული შედეგები სცდება ლოკალურ და რეგიონულ კონტექსტს და მსოფლიოს მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის.

წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, მაღალი ალბათობით შეიძლება ითქვას, რომ „თალიბანისა“ და „ჰაკანის ქსელის“ მმართველობის პირობებში, საერთაშორისო ტერორისტულ ჯგუფებს ავღანეთის ტერიტორიაზე აქტიური მოქმედების საშუალება მიეცემათ. შესაძლოა, მათ ადგილზე შექმნილი ვითარებით ისარგებლონ და ქვეყანა ტერორისტული დაჯგუფებებისთვის ერთგვარ თავშესაფრად აქციონ. ასევე, გამორიცხული არ არის, ავღანეთში გაძლიერებულმა ტერორისტულმა დაჯგუფებებმა დაგეგმონ და განახორციელონ ტერორისტული თავდასხმები ავღანეთის ტერიტორიის გარეთაც.

გარდა ამისა, „თალიბანის“ მიერ ავღანეთში ძალაუფლების მოპოვების ფაქტი, რაც ტერორისტული ორგანიზაციის ბოლო წლების ერთ-ერთ უდიდეს „წარმატებად“ აღიქმება, შესაძლოა ტერორიზმის პროპაგანდისა და სხვადასხვა ტერორისტული ნარატივის გავრცელების ხელშემწყობ მნიშვნელოვან ფაქტორად იქცეს.

გლობალური უსაფრთხოების კონტექსტშია გასააზრებელი ავღანეთში შექმნილი ვითარების შედეგად მიგრირებულ ლტოლვილთა ნაკადებიდან მომდინარე საფრთხეები. გასათვალისწინებელია, რომ გასულ წლებში, ტერორისტული თავდასხმები ხორციელდებოდა სირია-ერაყიდან მიგრაციული არხებით, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში თავშესაფრის მაძიებელთა შორის მოხვედრილი რადიკალიზებული პირების მხრიდან. შეიძლება გამოითქვას მყარი ვარაუდი, რომ ავღანეთიდან მიგრირებულ ლტოლვილებს შორის ტერორისტთა მოხვედრისა და მათ მიერ ტერორისტული თავდასხმების განხორციელების რისკი არსებობს.

„ალ-კაიდა“

„ალ-კაიდას“ ძირითად სამოქმედო ტერიტორიას ახლო აღმოსავლეთი და აფრიკა წარმოადგენს. ტერორისტული ორგანიზაციის სტრუქტურას ბოლო წლების განმავლობაში რამდენიმე მნიშვნელოვანი მეთაური გამოაკლდა, რამაც მის აქტივობებზე გარკვეული გავლენა მოახდინა, თუმცა მას ტერორისტული საქმიანობა არ შეუწყვეტია. მეტიც, „ალ-კაიდას“ რეგიონული დანაყოფები აფრიკაში მნიშვნელოვნად გააქტიურდნენ. ისინი თავდასხმებს ახორციელებენ სხვადასხვა ქვეყნის სამთავრობო ძალებსა და

საერთაშორისო მისიების ფარგლებში ადგილზე მყოფ სამხედრო კონტინგენტზე, ასევე, სამოქალაქო პირებზე. გარკვეული პერიოდულობით, აფრიკაში ადგილი აქვს ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი „დაეშისა“ და „ალ-კაიდას“ ადგილობრივ დაჯგუფებებს შორის შეტაკებებს.

აღსანიშნავია, რომ „ალ-კაიდას“ დეკლარირებულ სამიზნეს კვლავ დასავლეთის ქვეყნები წარმოადგენს.

საყურადღებოა, რომ ტერორისტული ორგანიზაცია მჭიდრო კავშირს ინარჩუნებს „თალიბანთან“. აღნიშნულმა ფაქტორმა, შესაძლოა, „ალ-კაიდას“ მიერ ძალების მობილიზებას გარკვეული ფორმით ხელი შეუწყოს. ამავდროულად, წარსული გამოცდილების გათვალისწინებით, გამორიცხული არ არის, რომ ამ უკანასკნელმა ავღანეთის ტერიტორია სხვადასხვა ტერორისტული აქტივობის, მათ შორის, თავდასხმების დაგეგმვის მიმართულებით გამოიყენოს.

ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმი

ბოლო პერიოდში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში კრიტიკულად გაიზარდა ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმიდან მომდინარე საფრთხე. რადიკალური იდეოლოგიის მომხრე ჯგუფებმა და სტრუქტურირებულმა ქსელებმა პანდემიით განპირობებული ვითარება საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენეს. მათ შეძლეს ულტრამემარჯვენე, პოპულისტური იდეოლოგიის მიმართ მოწყვლადი მოსახლეობის გარკვეული თვალსაზრისით რადიკალიზაცია. აღნიშნულის შედეგად, მსოფლიოს მასშტაბით ხშირად ფიქსირდებოდა რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური კუთვნილებისა და სხვა ნიშნით განხორციელებული ძალადობრივი ქმედებები.

საქართველოს წინაშე არსებული ტერორისტული საფრთხეები და გამოწვევები

საქართველოში ტერორისტული თავდასხმის განხორციელების მაღალი რისკი არ ფიქსირდება, თუმცა აღნიშნული თვალსაზრისით გამოწვევები მუდმივად არსებობს.

წარსულში სირიასა და ერაყში ტერორისტული ორგანიზაციების „დაეშისა“ და „ალ-კაიდას“ რიგებში საქართველოს ათობით მოქალაქე იბრძოდა. გამოწვევას წარმოადგენს ქვეყანაში მათი დაბრუნების მცდელობა.

საფრთხეს ქმნის ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრების ან ტერორისტული საქმიანობის განხორციელებისთვის საქართველოს მოქალაქეების გადაბირების მცდელობები.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანი საფრთხეა უცხო ქვეყნის, ტერორიზმთან დაკავშირებული მოქალაქეების ან/და ტერორისტი მებრძოლების საქართველოში მოხვედრის (მათ შორის, სატრანზიტო მიზნით) მცდელობა.

ქვეყნისთვის პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენს ტერორიზმის დაფინანსების ან სხვაგვარი დახმარების მცდელობები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერორიზმის კუთხით საქართველოსთვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება მოკლებულია ეფექტური კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, რაც, შესაძლოა, ადგილზე ტერორიზმისა და სხვა კრიმინალური აქტივობებისთვის ხელსაყრელ გარემოს ქმნიდეს.

➡ *საქართველოს ტერიტორიაზე ტერორისტული თავდასხმის განხორციელების შესაძლებლობა*

გასული წლების განმავლობაში საქართველოში აღიკვეთა სახიფათო ტერორისტული აქტივობები, შესაბამისად ქვეყნის ტერიტორიაზე ტერორისტული თავდასხმა არ განხორციელებულა.

ტერორისტული თავდასხმა წარმოადგენს ტერორისტული ორგანიზაციის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას. აქტის განხორციელების შემდეგ უდიდესი ზიანი ადგება საზოგადოებრივ და სახელმწიფო უსაფრთხოებას.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე საქართველოში არ არსებობს ტერორისტული თავდასხმის რეალური საფრთხე, ტერორისტული თავდასხმის უმძიმესი შედეგებიდან გამომდინარე, მისი თავიდან აცილება წარმოადგენს სახელმწიფოს, კერძო და სამოქალაქო სექტორების ერთიან პასუხისმგებლობას.

ამავე კონტექსტშია გასათვალისწინებელი ძალადობრივი ექსტრემიზმის შესაძლო გამოვლინებები. საერთაშორისო გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ექსტრემიზმის ძალადობრივი გამოვლინებები, ტერორისტული თავდასხმის მსგავსად, შესაძლოა უკიდურესად დამაზიანებელი იყოს ქვეყნის უსაფრთხოებისთვის.

➡ *სირიასა და ერაყში „დაეშისა" და „ალ-კაიდას" რიგებში მებრძოლი საქართველოს მოქალაქეების შესაძლო დაბრუნება*

ცივილიზებული სამყაროსთვის გამოწვევად რჩება სირიასა და ერაყში ტერორისტული ორგანიზაციების რიგებში მებრძოლი სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებისა და ტერორიზმთან დაკავშირებული პირების, ასევე მათი ოჯახის წევრების წარმოშობის ქვეყნებში დაბრუნება. აღნიშნული პრობლემის წინაშე დგას საქართველოც.

სახელმწიფოს დღის წესრიგშია საკუთარი მოქალაქეების სამშობლოში დაბრუნება, ხოლო იმ პირთა მიმართ, რომელთა ქმედებაში დანაშაულის ნიშნები არსებობს - სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს ხსენებულ ზონაში მყოფი, სავარაუდოდ ტერორისტულ საქმიანობაში ჩართული მოქალაქეების წინააღმდეგ მტკიცებულებების მოპოვება.

ტერორისტული ორგანიზაციებისა და მათი მხარდამჭერების მიერ ტერორისტული საქმიანობისთვის საქართველოს მოქალაქეების გადაბირების მცდელობები

შესაბამისი ტერორისტული ნარატივის, ფინანსური დაინტერესებისა და სხვა საშუალებების გამოყენებით, ტერორისტული ორგანიზაციები კვლავ ახორციელებენ სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეთა საკუთარ რიგებში გადაბირებას. საქართველოს შესაბამისი უწყებების მიერ გატარებული ეფექტიანი ზომების შედეგად, ქვეყნის მოქალაქეთა გადაბირების შემთხვევები მინიმუმამდეა დაყვანილი, თუმცა, წარსული გამოცდილების გათვალისწინებით, სახელმწიფოს სრულად აქვს გააზრებული აღნიშნული პროცესიდან მომდინარე საფრთხეები.

უკანასკნელ პერიოდში, განსაკუთრებით გლობალური პანდემიით განპირობებული შეზღუდვების ფონზე, მოქალაქეების კიბერსივრცეში ინტერაქციის გაზრდის შედეგად, ტერორისტული და ექსტრემისტული იდეოლოგიის პროპაგანდის შესაძლებლობები უფრო მასშტაბური გახდა. აღნიშნულ კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ონლაინსივრცეში შესაბამისი ნარატივის გავრცელების სათანადო კონტროლმა და სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისმა რეაგირებამ.

ტერორიზმთან დაკავშირებული პირების, უცხოელი ტერორისტი მებრძოლების საქართველოში შემოსვლის ან/და ქვეყნის ტერიტორიის ტრანზიტული მიზნით გამოყენების მცდელობა

არსებობს ტერორიზმთან დაკავშირებული პირებისა და უცხოელი ტერორისტი მებრძოლების მხრიდან საქართველოში შემოსვლის, მათ შორის ტრანზიტული მიზნით, მცდელობის რისკი. ამ მიმართულებით არსებულ წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, სახელმწიფო სრულად იაზრებს მსგავსი აქტივობით გამოწვეულ შესაძლო საფრთხეებს და შესაბამის ღონისძიებებს ატარებს.

ტერორიზმის დაფინანსება ან სხვაგვარი დახმარების შესაძლო მცდელობები

აქტივობების განსახორციელებლად ტერორისტულ ორგანიზაციებს ესაჭიროებათ როგორც ფინანსური, ისე მატერიალური უზრუნველყოფა. რესურსების გარეშე ტერორისტული ორგანიზაცია ვერ აყალიბებს სტრუქტურიზებულ დანაყოფს, უჭირს პირთა გადაბირება და კანონსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება. ტერორიზმის დაფინანსება, ტერორისტული საქმიანობის სხვაგვარი მატერიალური მხარდაჭერა ან რესურსებით უზრუნველყოფა ცივილიზებული სამყაროსთვის ერთ-ერთ კრიტიკულ გამოწვევას წარმოადგენს. ტერორისტული ორგანიზაციები თანამედროვე ტექნოლოგიების, გადარიცხვის ახალი სისტემებისა და ე.წ. კრიპტოვალუტის გამოყენებით სულ უფრო ხშირად ახერხებენ აუცილებელი ფინანსური რესურსის მობილიზებას. აღნიშნული მიმართულებით რისკები არსებობს საქართველოსთვისაც.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოსთვის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. სახელმწიფო გააგრძელებს ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო პრაქტიკის შესწავლასა და საქმიანობაში გამოყენებას.

სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები

კონტრტერორისტული სტრატეგია ეფუძნება შვიდ ძირითად მიმართულებას:

- ტერორიზმთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი - მიზნად ისახავს სახელმწიფო უწყებების, კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან კოორდინირებული მოქმედების უზრუნველყოფას, რათა ეფექტიანად განხორციელდეს ტერორიზმთან, ძალადობრივ ექსტრემიზმსა და რადიკალიზაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის თავმოყრა, ანალიზი და აღნიშნულის საფუძველზე სახელმწიფოს მხრიდან განსახორციელებელი შემდგომი ნაბიჯების განსაზღვრა.

- პრევენცია - სახელმწიფოსთვის პრიორიტეტულია პრევენციული ღონისძიებების განხორციელება. აღნიშნული მიდგომის საშუალებით საწყის ეტაპზე ხდება ტერორისტულ და ძალადობრივ ექსტრემისტულ საფრთხეებთან გამკლავება.

- დაცვა - ტერორიზმთან, ძალადობრივ ექსტრემიზმსა და რადიკალიზაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვებისა და პრევენციული ზომების გატარების მიუხედავად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს დაცვითი შესაძლებლობების გაუმჯობესება და აღნიშნულით ქვეყანაში ტერორისტული თავდასხმის საფრთხის შემცირება.

- მზადყოფნა - რამდენადაც არც ერთი სახელმწიფო არ არის სრულად დაცული ტერორისტული თავდასხმისაგან, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია მზადყოფნის კომპონენტის განვითარება.

- დევნა - ტერორისტული აქტივობის გამოვლენის/იდენტიფიცირების შემთხვევაში, სახელმწიფო განახორციელებს სამართლიან, სწრაფ და ეფექტიან მართლმსაჯულებას.

- სამართლებრივი რეგულირების ჩარჩოს განვითარება - ტერორისტულ დანაშაულთან კავშირის მქონე პირების სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემისა და მართლმსაჯულების აღსასრულებლად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია მოქნილი და თანამედროვე გამოწვევებზე მორგებული კანონმდებლობის განვითარება.

- საერთაშორისო თანამშრომლობა - ქვეყანაში არსებული ტერორისტული და ძალადობრივი ექსტრემისტული გამოწვევები დაკავშირებულია საერთაშორისო ტენდენციებთან. აღნიშნულ საფრთხეებთან ეფექტურად დასაპირისპირებლად,

მნიშვნელოვანია საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა, მათ შორის, წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული წარმატებული თანამშრომლობის პროცესის გაგრძელება და გაღრმავება.

ტერორიზმთან, ძალადობრივ ექსტრემიზმსა და რადიკალიზაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვება და ანალიზი

მიზანი:

ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვება და ანალიზი.

ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის მხრიდან მომდინარე ცვალებად საფრთხეებსა და გამოწვევებთან გამკლავებისა და მათზე შესაბამისი რეაგირებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია ინფორმაციის მოპოვება და ანალიზი.

ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული ინფორმაციის ფლობის პირობებში, სახელმწიფოს შესაძლებლობა ეძლევა, დაგეგმოს და განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები მოსალოდნელი რისკების პრევენციის, წესაძლო ინციდენტებისთვის მზადყოფნის ან მათგან სახელმწიფოსა და მოქალაქეების დაცვის, დამნაშავეთა სისხლისსამართლებრივი დევნის, კანონმდებლობის შემდგომი დახვეწისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების მიმართულებით.

საქართველო გააგრძელებს მუშაობას და ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებით მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, განსაზღვრავს და გადადგამს ქვეყნის კონტრტერორისტული პოლიტიკის განვითარების შემდგომ ნაბიჯებს.

აღნიშნულ პროცესში თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც სახელმწიფო უწყებებისა, ისე სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორების ჩართულობა.

ამოცანები:

საერთაშორისო ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული ტენდენციებისა და გამოწვევების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და ანალიზი.

ბოლო წლების განმავლობაში ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული ტენდენციები საგრძნობლად შეიცვალა და მსოფლიო ახალი რისკებისა და გამოწვევების წინაშე დადგა. საერთაშორისო დონეზე არსებული ტენდენციები და გამოწვევები საქართველოზეც აისახება. გამოცდილებამ ცხადყო, რომ მსოფლიოს

სხვადასხვა ქვეყნის მსგავსად, წარსულში საქართველოშიც დაფიქსირდა ტერორიზმთან დაკავშირებული აქტივობები, მათ შორის, ტერორისტული ორგანიზაციებისა და დაჯგუფებების მხრიდან პირთა გადაბირების ფაქტები, ასევე, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს მოქლაქეების გამგზავრების შემთხვევები. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შესაბამისი უწყებების აქტიური ძალისხმევით ქვეყანაში ტერორისტული აქტივობების (მათ შორის, რადიკალიზაცია, გადაბირება) შესაძლებლობა მინიმუმამდე იქნა დაყვანილი, ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული სხვადასხვა დანაშაულებრივი ქმედების რისკები მუდმივად არსებობს.

ტერორიზმთან/ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებულ ცვალებად საფრთხეებსა და გამოწვევებთან გამკლავების, შესაძლო რისკების თავიდან არიდებისა და მათზე ეფექტიანი რეაგირების მიმართულებით სახელმწიფოს მზაობის უზრუნველყოფისთვის, მნიშვნელოვანია ინფორმაციის ფლობა საერთაშორისო დონეზე არსებული ტენდენციებისა და საფრთხეების თაობაზე. აღნიშნულ გამოწვევებთან დაკავშირებული ინფორმაციის ფლობის პირობებში, სახელმწიფო დროულად შეძლებს რისკების იდენტიფიცირებას და შესაბამისი ზომების გატარებას ტერორისტული და ძალადობრივი ექსტრემისტული საფრთხეების პრევენციისა და მზადყოფნის, სახელმწიფოსა და მოქალაქეების დაცვის, ტერორიზმთან კავშირში მყოფ პირთა სისხლისსამართლებრივი დევნის, საკანონმდებლო ჩარჩოს შესაბამისი განვითარებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებით.

საქართველო ორიენტირებულია საერთაშორისო დონეზე მიმდინარე ტერორისტულ და ძალადობრივ ექსტრემისტულ ტენდენციებსა და საფრთხეებთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზზე. სახელმწიფო გააგრძელებს აქტიურ მუშაობას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების/ანალიზის მიმართულებით.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, სხვა სახელმწიფო უწყებებსა და სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობის ფარგლებში, მოიპოვებს და დაამუშავებს ინფორმაციას ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებულ რიგ საკითხებზე, მათ შორის:

- მსოფლიოს მასშტაბით ტერორიზმთან, ძალადობრივ ექსტრემიზმსა და რადიკალიზაციასთან დაკავშირებული ტენდენციები;
- ქვეყნის ფარგლებს გარეთ საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული შესაძლო ტერორისტული აქტივობები/თავდასხმები;
- ტერორისტების, ექსტრემისტებისა და მათთან კავშირში მყოფი პირების ვინაობა, ადგილსამყოფელი, გადაადგილება, შესაძლო კავშირები, გეგმები, აქტივობები და მათ ხელთ არსებული რესურსები;

- ტერორიზმის დაფინანსება და ამ მიზნით გამოყენებული ქსელები და მეთოდები;
- ინფორმაცია საზღვარგარეთ მყოფი, ტერორიზმთან შესაძლო კავშირის მქონე საქართველოს მოქალაქეებისა და სამშობლოში მათი შესაძლო დაბრუნების მცდელობის შესახებ.

ქვეყნის მასშტაბით არსებული ტერორისტული და ძალადობრივი ექსტრემისტული ტენდენციებისა და გამოწვევების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და ანალიზი.

საერთაშორისო დონეზე მიმდინარე მოვლენების პარალელურად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ინფორმაციის ფლობა სახელმწიფოს მასშტაბით ტერორისტული და ძალადობრივი ექსტრემისტული გამოწვევებისა და ტენდენციების შესახებ. ხშირად აღნიშნული ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების საფუძველზე ტარდება შესაბამისი პრევენციული ზომები მოსალოდნელი რისკების თავიდან ასარიდებლად. პარალელურად, ტერორიზმთან/ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული ვითარების შესახებ ინფორმაციის ფლობის პირობებში, შესაძლებელი ხდება მზადყოფნის, დაცვის, სისხლისსამართლებრივი დევნისა თუ სხვა სათანადო ღონისძიებების გატარება.

საქართველოს შესაბამისი უწყებები, საკუთარი კომპეტენციისა და სამოქალაქო სექტორებთან თანამშრომლობის ფარგლებში, აქტიურად გააგრძელებენ მუშაობას ქვეყანაში მიმდინარე ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული ტენდენციებისა და გამოწვევების შესახებ ინფორმაციის მოპოვება-ანალიზის მიმართულებით. აღნიშნულ პროცესში მოხდება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენება და დაინერგება შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიები. ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცესში სახელმწიფოს ამოცანას არ წარმოადგენს ცალკეული პირების ან პირთა ჯგუფის ტოტალური კონტროლი.

უწყებათაშორისი თანამშრომლობა ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვებისა და გაცვლის, მათ შორის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის გაზიარების მიმართულებით.

ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული ინფორმაციის მოსაპოვებლად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია უწყებათაშორისი თანამშრომლობა. საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, ტერორისტული თავდასხმების განხორციელებამდე, სხვადასხვა სახელმწიფო უწყება ფლობდა საყურადღებო ინფორმაციას მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, რომლის გაზიარების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა ტერორისტული თავდასხმის პრევენცია.

გამოწვევის კომპლექსურობის გათვალისწინებით, ინფორმაციის შეგროვების პროცესში გაღრმავდება სახელმწიფო უწყებების ჩართულობა, მათ შორის იმ უწყებების, რომელთა

საქმიანობა პირდაპირ არ უკავშირდება ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის მხრიდან მომდინარე საფრთხეებთან გამკლავებას.

ტერორიზმთან ბრძოლის ეფექტიანობის ასამაღლებლად, სახელმწიფო უწყებები გააგრძელებენ ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვებას და აღნიშნული ინფორმაციის გაზიარებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის, რომელიც წამყვან უწყებას წარმოადგენს ტერორიზმთან ბრძოლაში. ასევე, გაგრძელდება სხვადასხვა უწყებაში არსებული საკადრო რესურსის გადამზადება და, საჭიროების შემთხვევაში, მათი რაოდენობის გაზრდა ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლის სფეროში სახელმწიფოს შესაძლებლობების გასაძლიერებლად.

თანამშრომლობა სახელმწიფო უწყებებსა და კერძო/სამოქალაქო სექტორს შორის, ინფორმაციის გაზიარების მიმართულებით.

ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლისთვის, უწყებათაშორისი თანამშრომლობის პარალელურად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, სახელმწიფო სტრუქტურების, მეორე მხრივ კი - არასამთავრობო და აკადემიური სექტორის თანამშრომლობა. კერძო და სამოქალაქო სექტორებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ინფორმაციის მოძიების, საფრთხეების გამოკვეთისა და ანალიზის პროცესში.

სახელმწიფო გააგრძელებს კერძო და სამოქალაქო სექტორებთან თანამშრომლობას ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლის პროცესის გასაღრმავებლად. ამასთან, მოხდება კერძო/სამოქალაქო სექტორის მხარდაჭერა, რათა განხორციელდეს ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის ტენდენციების კიდევ უფრო სიღრმისეული შესწავლა, ასევე, აღნიშნული აკადემიური მიმართულებების გაძლიერება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რაც ხელს შეუწყობს სამოქალაქო, მათ შორის ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას საქართველოსა და, ზოგადად, მსოფლიოში არსებული რისკებისა და გამოწვევების, ასევე, მათზე შესაძლო რეაგირების გზების მოძიების მიმართულებით.

ტერორიზმის, ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის მიმართულებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან მოქალაქეების თანამშრომლობის გააქტიურება.

საქართველოს მოქალაქეებს, შესაძლოა, ჰქონდეთ უშუალო შეხება ტერორიზმთან, ძალადობრივ ექსტრემიზმსა და რადიკალიზაციასთან დაკავშირებულ შემთხვევებსა და ტერორისტულ დანაშაულთან კავშირის მქონე პირებთან. მსგავს შემთხვევებში, მოქალაქეების ხელთ არსებული ინფორმაცია, შესაძლოა, კრიტიკულად მნიშვნელოვანი

გახდეს კონტრტერორისტულ ძალისხმევაში ჩართული სახელმწიფო უწყებების ხრიდან დროული რეაგირებისა და შესაბამისი პრევენციული ზომების გასატარებლად.

ტერორისტულ და ძალადობრივ ექსტრემისტულ გამოწვევებსა და საფრთხეებთან დაკავშირებული ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში, მოქალაქეთა მხრიდან შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან კომუნიკაცია და მათ ხელთ არსებული ინფორმაციის გაზიარება კრიტიკულად მნიშვნელოვან სამოქალაქო პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახელმწიფოსთვის პრიორიტეტულია მოქალაქეთა ინფორმირებულობა ტერორიზმის, ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის საკითხებთან დაკავშირებით, რაც ამ უკანასკნელთა მხრიდან შესაძლო რისკებისა და საფრთხეების დროული იდენტიფიცირების, შემდგომში კი - შეხაბამისი სახელმწიფო უწყებებისთვის გაზიარების შესაძლებლობას გაზრდის.

სახელმწიფო, კერძო და სამოქალაქო სექტორებთან თანამშრომლობით და საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, აქტიურად გააგრძელებს მუშაობას ტერორიზმის, ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის საკითხებზე სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების მიმართულებით.

ტერორისტულ და ძალადობრივ ექსტრემისტულ საფრთხეებთან ეფექტიანად გამკლავების მიზნით, დაიხვეწება სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის თანამშრომლობის პლატფორმები, რათა ძალადობრივი ექსტრემიზმისა და ტერორიზმის საფრთხეების გამოვლენის შემთხვევაში, მოქალაქეებმა დროულად მოახდინონ შესაბამისი რეაგირება.

მოსალოდნელი შედეგი:

სახელმწიფო ფლობს ინფორმაციას ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული საფრთხეებისა და გამოწვევების შესახებ; მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გეგმავს და ახორციელებს პრევენციულ, დაცვის, მზადყოფნის, დამნაშავეთა გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ღონისძიებებს.

პრევენცია

მიზანი:

ტერორისტული ორგანიზაციებისა და ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფების მხრიდან მომდინარე საფრთხეების დროული იდენტიფიცირება და მათთან გამკლავება საწყის ეტაპზე.

ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლის პროცესში სახელმწიფოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრევენციული ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება. ტერორისტული ორგანიზაციებისა და ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფების მიერ წარმოებული სხვადასხვა აქტივობის, მათ შორის, რადიკალიზაციისა და რეკრუტირების, ტერორიზმის დაფინანსებისა და მოსალოდნელი თავდასხმების დროული იდენტიფიცირება საფრთხეებზე სწრაფი და რელევანტური რეაგირებისა და მათთან საწყის ეტაპზე გამკლავების შესაძლებლობას იძლევა.

სახელმწიფო, სამოქალაქო საზოგადოებასა და კერძო სექტორთან თანამშრომლობით, ასევე, საგანმანათლებლო, კულტურული და რელიგიური ორგანიზაციების ჩართულობით, აქტიურად განახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს, ტერორიზმის, ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციისგან მომდინარე საფრთხეების პრევენციისთვის. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა რადიკალიზაციის პროცესის ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირებას, რადგან ცნობილია, რომ ტერორისტული აქტივობების აბსოლუტურ უმრავლესობას წინ უძღვის პირის რადიკალიზაციის პროცესი.

ამოცანები:

ტერორისტული/ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივის გამოვლენა და ტერორისტული იდეოლოგიის გავრცელების ხელის შეშლა.

ტერორისტული და ძალადობრივი ექსტრემისტული ორგანიზაციები/ჯგუფები, პირთა რადიკალიზაციისა და რეკრუტირების პროცესში კონკრეტულ იდეოლოგიას ეყრდნობიან. ამა თუ იმ ჯგუფის მიერ გაზიარებული იდეოლოგია რელიგიური, სოციალური, კულტურული, ისტორიული და სხვა შინაარსით დატვირთულ, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფზე მორგებულ მრავალმხრივ ნარატივს მოიცავს. აღნიშნული ნარატივების საშუალებით ტერორისტული და ძალადობრივი ექსტრემისტული ორგანიზაციები/ჯგუფები თავდასხმებისა და ძალადობის წახალისებას ახდენენ.

ტერორისტული/ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივის დროული გამოვლენითა და საწყის ეტაპზე მასთან გამკლავებით, სახელმწიფო დაიცავს საკუთარ მოქალაქეებს რადიკალიზაციისა და ტერორიზმთან/ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩართვისგან.

ტერორისტული/ძალადობრივი ექსტრემისტული იდეოლოგიის გავრცელებასა და რადიკალიზაციის ხელშემწყობ ფაქტორებთან დაპირისპირება.

სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, დისკრიმინაცია, სტიგმატიზაცია და სხვა მრავალი ფაქტორი ხელსაყრელ გარემოს უქმნის ტერორისტულ ორგანიზაციებს,

მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების წარმომადგენლებზე იდეოლოგიური ზეგავლენის მოხდენისა და გადაბირებისთვის. ტერორისტული ორგანიზაციები საკუთარ ნარატივს სწორედ აღნიშნული მიმართულებით ავითარებენ.

სახელმწიფო გააგრძელებს მოსახლეობის წინაშე მდგარი იმ გამოწვევების შესწავლასა და ანალიზს, რომლებიც განაპირობებს ამ უკანასკნელთა მოწყვლადობას ტერორისტული/ძალადობრივი ექსტრემისტული იდეების მიმართ. მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად, ადგილობრივი რესურსების გამოყენებით, განხორციელდება ინფრასტრუქტურული და რეგიონული პროექტები, რაც მინიმუმამდე შეამცირებს პირთა რადიკალიზაციის, ტერორისტულ და ძალადობრივ ექსტრემისტულ აქტივობებში ჩართვის ალბათობას.

განსახორციელებელ ღონისძიებებს შორის სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს ტერორიზმის, ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის კუთხით სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას. ამ თვალსაზრისით, პრიორიტეტული იქნება რადიკალიზაციისადმი მოწყვლადი ჯგუფების მედეგობის გაძლიერება/ამაღლება ტერორისტული და ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივის მიმართ.

ამასთან, სახელმწიფო, სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობით, გააგრძელებს მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველყოფას განურჩევლად მათი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა და საცხოვრებელი ადგილისა. ასევე, ხელს შეუწყობს მათ სამოქალაქო თანასწორობას და ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ტერორისტული/ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივის გავრცელების არხების დროული იდენტიფიცირება და მათი მოქმედების/ფუნქციონირების ხელშეშლა.

ტერორისტული ორგანიზაციები და ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფები საკუთარი იდეოლოგიის გასავრცელებლად სხვადასხვა საშუალებას მიმართავენ. პირთა რადიკალიზაციისა და რეკრუტირების მიზნით გამოიყენება ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: კონკრეტულ პირთან ან პირთა ჯგუფთან პირდაპირი კომუნიკაცია; ცალკეული რელიგიური, საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული თუ სხვა ტიპის დაწესებულებების გამოყენება კონკრეტულ წრეში ტერორისტული/ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივის გავრცელების მიზნით და სხვა.

ტერორისტული/ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივის გავრცელების ძირითად პლატფორმას ინტერნეტსივრცე და სოციალური მედია წარმოადგენს, რომელიც ფართო აუდიტორიებთან კომუნიკაციისთვის, პირთა გადაბირებისა და მუქარის შემცველი გზავნილების გავრცელებისთვის გამოიყენება.

სახელმწიფო გააგრძელებს ტერორისტული/ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივის გავრცელების არხებისა და საშუალებების იდენტიფიცირებას და მათი ფუნქციონირების აღსაკვეთად, შესაბამისი ზომების გატარებას, მათ შორის გააქტიურდება მუშაობა სოციალური მედიის პლატფორმებთან.

ახლო აღმოსავლეთში ტერორისტული ორგანიზაციებისა და დაჯგუფებების რიგებში მებრძოლთა და მათი ოჯახის წევრების რეპატრიაცია, დერადიკალიზაცია და რეაბილიტაცია.

ახლო აღმოსავლეთში „დაეშის" ტერიტორიული განადგურების შემდეგ, დღის წესრიგში დადგა ტერორისტული ორგანიზაციის მებრძოლთა და მათი ოჯახის წევრების რეპატრიაციის საკითხი. ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიაში მდებარე ბანაკებში თავმოყრილია „დაეშის" მხარდამჭერი ათასობით პირი, მათ შორის ბავშვები, რომლებიც პოტენციურ ტერორისტ მებრძოლებად ჩამოყალიბების რისკის წინაშე დგანან.

სირიაში არსებულ ბანაკებში იმყოფებიან საქართველოს მოქალაქეებიც (ძირითადად, ქალები და ბავშვები), რომელთა სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში, არსებობს ამ უკანასკნელთა სოციუმიდან იზოლირებისა და ტერორისტულ საქმიანობაში შემდგომი ჩართვის რისკი. გამოწვევას წარმოადგენს კონფლიქტის ზონაში მებრძოლთა ოჯახის წევრების მხრიდან, საქართველოში დაბრუნების შემდეგ, შესაბამის სარეაბილიტაციო ღონისძიებებში ჩართვის სურვილის არარსებობაც.

არსებული და შესაძლო რისკების საწყის ეტაპზე აღკვეთის მიზნით, სახელმწიფო, საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობითა და საჯარო უწყებების მჭიდრო კოორდინაციის ფარგლებში, შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის მიდგომებს დაბრუნებულთა, რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციისთვის. ამავდროულად, დაბრუნებული პირების რეაბლიტაცია-რეინტეგრაციის მიზნობრიობის განსაზღვრისას, პრიორიტეტულად იქნება მიჩნეული ტერორისტულ საქმიანობაში ამ უკანასკნელთა მონაწილეობის ფაქტის დადგენა.

საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, საქართველო თითოეულ შემთხვევას განიხილავს ინდივიდუალურად და შესაბამის ნაბიჯებს გადადგამს მართლმსაჯულების აღსრულებისა თუ რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის მიმართულებით.

ტერორიზმში მსჯავრდებულ პირთა დერადიკალიზაცია, რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია.

საერთაშორისო პრაქტიკამ აჩვენა, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებული რადიკალიზებული პირები ხშირად სხვა მსჯავრდებულთა გადაბირებას ახორციელებენ.

პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ მსჯავრდებულთა შესაძლო რადიკალიზაციის თავიდან არიდების მიზნით, განხორციელდება დერადიკალიზაციასა და

რესოციალიზაციაზე ორიენტირებული სპეციალური პროგრამები. აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოებისა და რელიგიური ორგანიზაციების მჭიდრო თანამშრომლობა.

ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის კუთხით ქალებისა და გოგონების წინაშე მდგარი გამოწვევების შესწავლა და მათთან გასამკლავებლად შესაბამისი მიდგომების შემუშავება.

ტერორიზმი და ძალადობრივი ექსტრემიზმი ქალებსა და გოგონებს განსხვავებულ გამოწვევებს უქმნის. მათ, ასევე, მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის მიმართულებით.

აცნობიერებს რა ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის მხრივ ქალებისა და გოგონების წინაშე არსებულ განსხვავებულ გამოწვევებს, სახელმწიფო გააგრძელებს შესაბამისი პრევენციული მიდგომების შემუშავებას და განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს ქალების თანასწორი და აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფას პრევენციულ ღონისძიებებში.

რადიკალიზაციის პრევენციის, დერადიკალიზაციისა და რესოციალიზაციის თვალსაზრისით განსაკუთრებული მიდგომების შემუშავება ბავშვებისა და მოზარდებისთვის

ტერორისტული და ძალადობრივი ექსტრემისტული ორგანიზაციების/ჯგუფების მხრიდან გადაბირების ერთ-ერთ სამიზნეს ბავშვები და მოზარდები წარმოადგენენ. მსოფლიოში ბავშვთა რადიკალიზაციისა და მათი ტერორისტულ/ძალადობრივ ექსტრემისტულ საქმიანობაში ჩართვის არაერთი მაგალითი დაფიქსირდა.

რადიკალიზაციის მიმართ ბავშვებისა და მოზარდების მედეგობის ამაღლების მიზნით, სახელმწიფო გააგრძელებს სხვადასხვა პრევენციული, მათ შორის, საგანმანათლებლო და კულტურული პროექტების განხორციელებას.

ტერორისტული და ძალადობრივი ექსტრემისტული ორგანიზაციების/ჯგუფების დაფინანსების პრევენცია.

საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციებს ძლიერი ფინანსური შესაძლებლობები გააჩნიათ. ფინანსების მოძიებისთვის ტერორისტული და ძალადობრივი ექსტრემისტული ორგანიზაციები რთულად გამოსავლენ, მრავალმხრივ მეთოდებს მიმართავენ. უკანაკსნელი წლების განმავლობაში, დღის წესრიგში დადგა ტერორისტული ორგანიზაციების მიერ ე.წ. კრიპტოვალუტის გამოყენების საკითხი, რომლის იდენტიფიცირება და გამოვლენა რიგ გამოწვევებს უკავშირდება.

სახელმწიფო კიდევ უფრო გააძლიერებს ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის დაფინანსების შემთხვევების იდენტიფიცირებაზე მუშაობას და ქვეყანაში უცხოეთიდან

შემოსულ საეჭვო თანხებზე კონტროლს. დაიხვეწება კონტროლის სისტემა ფულადი გზავნილების სისტემისა და საზღვარზე საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან ჩისგან მალულად ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდების გადატანის აღკვეთის მიზნით. გაგრძელდება ტერორისტული/ძალადობრივი ექსტრემისტული ორგანიზაციებისა და ჯგუფების მიერ კრიპტოვალუტის გამოყენების კუთხით არსებული რისკებისა და გამოწვევების შესწავლა და მათი პრევენციისთვის, შესაბამისი მიდგომების შემუშავება. აღნიშნულ პროცესში მოხდება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება.

მოსალოდნელი შედეგი:

ტერორისტული/ძალადობრივი ექსტრემისტული გამოწვევების საწყის ეტაპზე გამოვლენა და მათთან დროული გამკლავება.

დაცვა

მიზანი:

მოსახლეობის, სახელმწიფო საზღვრის, სახელმწიფო ხელისუფლების შტოებისა და მათი თანამდებობის პირების, საზოგადოების მასობრივი თავშეყრის ადგილების, კრიტიკული ინფრასტრუქტურის, სამოქალაქო ავიაციისა და კიბერსივრცის დაცვა ტერორისტული/ძალადობრივი ექსტრემისტული აქტივობებისა და თავდასხმებისაგან.

საქართველოსთვის, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოსთვის, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ქვეყნისა და მისი მოსახლეობის დაცვა ტერორიზმის ნებისმიერი გამოვლინებისგან. ეფექტური დაცვითი შესაძლებლობები და რესურსები საგრძნობლად ამცირებს ქვეყნის მასშტაბით ტერორისტული თავდასხმისა და ტერორიზმთან/ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული სხვა დანაშაულებრივი აქტივობების განხორციელების რისკს.

საქართველო უზრუნველყოფს საკუთარი მოსახლეობის, სახელმწიფო საზღვრის, სახელმწიფო ხელისუფლების შტოებისა და მათი თანამდებობის პირების, საზოგადოების მასობრივი თავშეყრის ადგილების, კრიტიკული ინფრასტრუქტურის, სამოქალაქო ავიაციისა და კიბერსივრცის დაცვას ტერორისტული/ძალადობრივი ექსტრემისტული აქტივობებისა და თავდასხმებისგან.

ამოცანები:

კრიტიკული ინფრასტრუქტურისა და საზოგადოების მასობრივი თავშეყრის ადგილების დაცვა ტერორისტული/ძალადობრივი ექსტრემისტული აქტივობებისა და თავდასხმებისაგან; დაცვის სპეციალური მექანიზმების შემუშავება და იმპლემენტაცია.

საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ კრიტიკული ინფრასტრუქტურა და მასობრივი თავშეყრის ადგილები ტერორისტების ერთ-ერთ მთავარ სამიზნეს წარმოადგენს. გასულ წლებში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სწორედ მასობრივი თავშეყრის ადგილებში დაფიქსირდა ტერორისტული თავდასხმები, რასაც დიდი მსხვერპლი და საერთაშორისო გამოხმაურება მოჰყვა.

ასევე, ცნობილია შემთხვევები, როდესაც ტერორისტული თავდასხმის მთავარი ამოცანა იყო არა დიდი რაოდენობის მსხვერპლის გამოწვევა, არამედ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი რანგის თანამდებობის პირების, პოლიტიკური თუ სხვა ლიდერების ლიკვიდაცია, ხოლო ამით შესაბამისი ინსტიტუციების შეარყევა, მასობრივი მღელვარებისა და ქაოსის გამოწვევა.

სახელმწიფო დაიცავს კრიტიკულ ინფრასტრუქტურას, საზოგადოების მასობრივი თავშეყრის ადგილებს, ქვეყნის საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი რანგის თანამდებობის პირებს, აგრეთვე სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვან სხვა პერსონებსა და ობიექტებს ტერორისტული/ძალადობრივი ექსტრემისტული აქტივობებისა და თავდასხმებისაგან. გაგრძელდება ხელშეუხებელი ობიექტების დაცვის სპეციალური მექანიზმების იმპლემენტაცია. გაგრძელდება ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის, მათ შორის პიროვნების სახის ამომცნობი ვიდეოსისტემების, დანერგვა წინასწარ სპეციალურად განსაზღვრულ ლოკაციებზე.

სახელმწიფო საზღვრებზე ტერორისტების, ექსტრემისტებისა და აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებული პირების გადაადგილების აღკვეთა; სახელმწიფო საზღვრის, საზღვაო და საჰაერო სივრცის დაცვის შესაძლებლობების გაძლიერება.

ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით განსაკუთრებული მნიშვნელობა საზღვრების, ასევე, საჰაერო და საზღვაო სივრცის დაცვას ენიჭება. სირია-ერაყში ტერორისტული ორგანიზაციებისა და დაჯგუფებების რიგებში მებრძოლთა სხვადასხვა ქვეყანაში შესაძლო გადაადგილების რისკმა გასული წლების განმავლობაში კიდევ ერთხელ აჩვენა სახელმწიფო საზღვრების დაცვის განსაკუთრებული მნიშვნელობა. გარდა ამისა, ავღანეთის ტერიტორიაზე „თალიბანის" მიერ კონტროლის დამყარების პირობებში, თავშესაფრის მაძიებელ მიგრანტთა ნაკადებს შორის, სხვადასხვა ქვეყანაში ტერორისტების მოხვედრის რისკი გაჩნდა.

საქართველო არ დაუშვებს საკუთარ საზღვრებზე ტერორისტების, ექსტრემისტებისა და აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებული პირების გადაადგილებას. ამ მიზნით, საქართველო გააძლიერებს სახელმწიფო საზღვრის დაცვის შესაძლებლობებს. აღნიშნულთან დაკავშირებით, გაგრძელდება მუშაობა სასაზღვრო-საინიგრაციო კონტროლისა და ყალბი სამგზავრო დოკუმენტების აღმოჩენის შესაძლებლობების გაუმჯობესების მიმართულებით.

ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული დაცვითი ღონისძიებების გატარება საოკუპაციო ხაზის გასწვრივ და მის მიმდებარე ტერიტორიებზე; უშუალოდ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ტერორიზმის კუთხით არსებული ვითარების შეფასების, მონიტორინგისა და საფრთხეების გამოსავლენად, საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების წვდომის ხელშეწყობა.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ვერ ახორციელებს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების კონტროლს. ამასთან, ოკუპირებულ რეგიონებში არსებული უსაფრთხოების მძიმე ვითარება აღნიშნულ ტერიტორიებზე ტერორისტული და ძალადობრივი ექსტრემისტული აქტივობებისთვის ხელსაყრელ გარემოს ქმნის.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომავალ ტერორისტულ და ძალადობრივ ექსტრემისტულ საფრთხეებთან ეფექტიანად გამკლავების მიზნით, საქართველო აქტიურად ითანამშრომლებს პარტნიორ ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. გაგრძელდება შესაბამისი დაცვითი ღონისძიებების გატარება საოკუპაციო ხაზის გასწვრივ და მის მიმდებარე ტერიტორიებზე ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებებისა და შეთანხმებების დაცვით.

უშუალოდ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ტერორიზმის/ძალადობრივი ექსტრემიზმის კუთხით არსებული ვითარების შეფასების, მონიტორინგისა და საფრთხეების გამოვლენის მიზნით, გაგრძელდება საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის მანდატის გავრცელების ხელშეწყობა.

სახელმწიფო ხელისუფლების შტოებისა და მათი თანამდებობის პირების, საქართველოში მყოფი დიპლომატიური მისიებისა და მისიათა წარმომადგენლების, ასევე, სხვა მნიშვნელოვანი პირების დაცვა.

ტერორისტებისა და ექსტრემისტების სამიზნე ხშირად ხდებიან სხვადასხვა ქვეყნის ოფიციალური პირები და დიპლომატიური მისიები. აღნიშნული გზით, ისინი ახდენენ ანგარიშსწორებას იმ პირთა მიმართ, რომელთა პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებები ეწინააღმდეგება მათ მიზნებსა და მსოფლმხედველობას. ამასთან, ოფიციალური პირებისა და დიპლომატიური მისიების წარმომადგენელთა წინააღმდეგ მიმართულ თავდასხმებს თან სდევს ფართო გამოხმაურება მედიისა და საზოგადოების მხრიდან, რაც, თავის მხრივ, ტერორისტებისა და ექსტრემისტების მიზნებს ემსახურება.

სახელმწიფო შესაბამის დონეზე უზრუნველყოფს საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ხელმძღვანელების/სახელმწიფო ხელისუფლების შტოებისა და მათი თანამდებობის პირების, საქართველოში დიპლომატიური მისიებისა და მათი წარმომადგენლების, ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ქვეყანაში მყოფი მაღალი თანამდებობისა და სხვა მნიშვნელოვანი პირების უსაფრთხოებას.

კიბერსივრცის დაცვა ტერორისტული და ძალადობრივი ექსტრემისტული იდეების გავრცელებისა და ძალადობრივი მოწოდებებისაგან; კიბერუსაფრთხოების კუთხით არსებული შესაძლებლობების განვითარება.

ტერორისტული და ძალადობრივი ექსტრემისტული ორგანიზაციები/ჯგუფები ფლობენ კიბერსივრცეზე, ინტერნეტპლატფორმებსა და საკომუნიკაციო საშუალებებზე თავდასხმის განხორციელების შესაძლებლობებს. უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველო სულ უფრო მეტად იყენებს კიბერსაშუალებებს სახელმწიფო ფუნქციების შესასრულებლად. ამავე ტენდეციას ავითარებს კერძო სექტორი და არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირების უდიდესი ნაწილი.

საქართველო გააგრძელებს შესაბამის ღონისძიებებს, რათა დაიცვას კიბერ და ინტერნეტსივრცე ტერორისტული და ექსტრემისტული ორგანიზაციების ჩარევებისა და თავდასხმებისაგან. გაგრძელდება კიბერუსაფრთხოების კუთხით არსებული შესაძლებლობების განვითარება.

ტერორისტებისა და ექსტრემისტების მიერ ცეცხლსასროლი იარაღის, ასაფეთქებელი მოწყობილობებისა და ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული მასალების/ნივთიერებების მოპოვების აღკვეთა.

საქართველო არ დაუშვებს, ტერორისტებმა ხელში ჩაიგდონ ასაფეთქებელი მოწყობილობები, საბრძოლო მასალა და ცეცხლსასროლი იარაღი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული მასალების/ნივთიერებების დაცვას და აღნიშნულის უკანონო მიმოქცევის აღკვეთას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერორისტული ორგანიზაციები თავდასხმების განხორციელებისთვის სულ უფრო ხშირად იყენებენ ადვილად ხელმისაწვდომ საშუალებებს. აღნიშნული ტენდენცია სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვან სირთულეს წარმოადგენს, რადგან, პრაქტიკულად, შეუძლებელია თავისუფალ მიმოქცევაში არსებულ საგნებზე შეზღუდვების დაწესება.

მოსალოდნელი შედეგი:

გაუმჯობესებულია სახელმწიფო საზღვრის, სამოქალაქო ავიაციის, კრიტიკული ინფრასტრუქტურის, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებისა და კიბერსივრცის დაცვა ტერორისტული/ძალადობრივი ექსტრემისტული აქტივობებისა და თავდასხმებისგან, ასევე, აღკვეთილია ტერორისტების, ექსტრემისტებისა და აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებული პირების გადაადგილება სახელმწიფო საზღვრებზე.

მზადყოფნა

მიზანი:

ტერორისტული თავდასხმის შემთხვევაში შექმნილი საგანგებო ვითარების მართვა და მისგან გამოწვეული ზიანის მინიმუმამდე შემცირება.

საქართველო არ განეკუთვნება ტერორისტული თავდასხმების კუთხით მაღალი რისკის სახელმწიფოთა რიცხვს, თუმცა ქვეყანაში ტერორისტული თავდასხმის შესაძლებლობა გამორიცხული არ არის. ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი სახელმწიფო უწყებების მხრიდან განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ტერორისტული აქტის განხორციელებას, განხორციელების მუქარას ან თავდასხმის მომზადებას/მცდელობას, ასევე, ექსტრემიზმის ძალადობრივ გამოვლინებას. მნიშვნელოვანია, რომ მსგავს დამაზიანებელ მოვლენებს სახელმწიფო მომზადებული შეხვდეს, რათა კრიზისული სიტუაციით შექმნილი ვითარება კონტროლს დაექვემდებაროს და მინიმუმამდე შემცირდეს მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის, მართლწესრიგისა და სხვადასხვა სამართლებრივი სიკეთისთვის ზიანის მიყენების რისკი.

ამოცანები:

ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი უწყებების მხრიდან ერთობლივი ძალისხმევის განხორციელების უზრუნველყოფა; საგანგებო სიტუაციებზე პირველადი რეაგირების დანაყოფების შესაძლებლობების გაუმჯობესება.

ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული ინციდენტებით შექმნილ კრიტიკულ სიტუაციებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისა და საგანგებო სიტუაციებთან პირველადი შეხების მქონე დანაყოფების მჭიდრო, დროულ და ეფექტიან კოორდინაციას, რათა ტერორისტული დანაშაულის განხორციელებამდე არსებული ან მასთან მიახლოებული ვითარების აღდგენა დროის უმცირეს პერიოდში და მინიმალური ზიანით მოხდეს. ამ მხრივ აუცილებელია, მუდმივად მიმდინარეობდეს შესაბამისი სამსახურებისა და პერსონალის შესაძლებლობების გაძლიერება.

საგულისხმოა, რომ მსგავსი სიტუაციების მიმართ მზადყოფნის ხარისხის გაზრდა არანაკლებ მნიშვნელოვანია კერძო და სამოქალაქო სექტორების, ასევე, მშვიდობიანი მოქალაქეებისთვის, რადგან ტერორისტული თავდასხმისა და ექსტრემიზმის ძალადობრივი გამოვლინების აქტებს, ამ მოვლენების მიმართ საზოგადოების მოწყვლადობისა და მოუმზადებლობის პირობებში გაცილებით მძიმე შედეგების გამოწვევა შეუძლია.

ტერორისტული თავდასხმების სავარაუდო სამიზნეებსა და კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე ტერაქტის შედეგად ან/და ტერორიზმთან დაკავშირებული სხვა დანაშაულის ჩადენით გამოწვეული საგანგებო სიტუაციის დროს სახელმძღვანელო მოქმედების გეგმების დახვეწა-განვითარება.

პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების პირობებში, ტერორისტული თავდასხმების საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში განხორციელების შემთხვევები მსოფლიოში მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა თავდასხმებისა და სხვა ძალადობრივი აქტების განხორციელება კვლავ წარმოადგენს ტერორისტული ორგანიზაციებისა და ძალადობრივი ექსტრემისტული იდეოლოგიის მხარდამჭერების მოქმედების მთავარ იარაღს.

პოტენციურ სამიზნედ განხილვის კუთხით, აქტუალობა არ დაუკარგავს კრიტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტებს. ამასთან, მსოფლიოში მნიშვნელოვნად გაიზარდა შეუწყნარებლობის ნიადაგზე განხორციელებული ძალადობის ფაქტები. აღნიშნულიდან გამომდინარე, პრევენციის მიზნით, დაიხვეწება შესაბამისი მიმართულებით შემუშავებული სამოქმედო გეგმა და მოერგება კონკრეტულ საჭიროებებს, რაც შემდეგ გამოყენებული იქნება ზემოაღნიშნული მიზეზებით შექმნილი საგანგებო ვითარების დროს. ექსტრემალურ სიტუაციებში წინასწარ განსაზღვრული მოქმედების მოდელი სახელმწიფოს მნიშვნელოვნად დაეხმარება კრიზისული ვითარების სწრაფად და მინიმალური დანაკარგით გადალახვაში.

საგულისხმოა, რომ ტერორისტული თავდასხმისას, ასევე, კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარების დროს, ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას პირველადი მნიშვნელობა ენიჭება. აღნიშნულ შემთხვევებში ასევე გათვალისწინებულია კერძო საკუთრებასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მხრიდან მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

სხვადასხვა ნიშნით განსაზღვრული, თავდასხმის შესაძლო სამიზნე ჯგუფების იდენტიფიცირება და მზადყოფნის კუთხით მათი შესაძლებლობების გაუმჯობესება

ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გამოიკვეთა ძალადობისგან კონკრეტული ნიშნით განსაზღვრულ პირთა წრეების დაცვის აუცილებლობა. მზადყოფნის ხარისხის გაზრდას მნიშვნელოვნად განაპირობებს სხვადასხვა ნიშნით ძალადობის საფრთხის ქვეშ მყოფი პირების წინასწარ განსაზღვრა და მათი შესაბამისად ინფორმირება/მომზადება.

აღნიშნული თვალსაზრისით, განხორციელდება საზოგადოებასთან მჭიდრო კოორდინაცია, რათა გარკვეული ჯგუფების მხრიდან არ მოხდეს ძალადობის ინსპირირებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის ხსენებულ პირთა წრეებისთვის დაკისრება და აღნიშნული არ გახდეს საზოგადოების პოლარიზების წამახალისებელი ფაქტორი.

ტერორისტული თავდასხმის დროს ან კონტრტერორისტული ოპერაციის მსვლელობისას, სახელმწიფოს კოორდინაცია საზოგადოებასა და მედიასთან.

ტერაქტის განხორციელებისას, ტერორისტული ორგანიზაციების ერთ-ერთ მიზანს საზოგადოების დაშინება წარმოადგენს. ტერორისტული თავდასხმით გამოწვეული ზიანის შემცირების თვალსაზრისით, მედიის მზადყოფნის გაზრდას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რათა ინფორმაციის გაშუქების პროცესში საზოგადოებაში შიშისა და პანიკის დანერგვა თავიდან იქნას აცილებული.

სახელმწიფოს მიერ განხორციელებული სპეცოპერაციის მიმდინარეობისას, დაუშვებელია მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების მხრიდან ისეთი დეტალების გახმაურება, რომლებიც შესაძლოა კონტრტერორისტული ღონისძიებისთვის დამაზიანებელი აღმოჩნდეს და ეწინააღმდეგებოდეს სახელმწიფო ინტერესებს. საგულისხმოა, რომ ხსენებულ კონტექსტში სახელმწიფოს მხრიდან სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვა უზრუნველყოფილი იქნება.

აღსანიშნავია, მსგავსი საგანგებო სიტუაციების შექმნისას, სახელმწიფოს მხრიდან საზოგადოებასთან კოორდინაციის მნიშვნელობაც. ტერორისტული თავდასხმის შემთხვევაში, განსაკუთრებით საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობასთან კომუნიკაცია, რაც კრიზისულ ვითარებაში მოქალაქეების სიმშვიდისა და დაცულობის შენარჩუნებისკენ იქნება მიმართული.

მოსალოდნელი შედეგი:

მინიმუმამდეა დაყვანილი საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის ტერორისტული თავდასხმით გამოწვეული ზიანი

დევნა

მიზანი:

მართლმსაჯულების აღსრულება და დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება.

დამნაშავეთა წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება ტერორიზმთან ბრძოლაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროცესს წარმოადგენს. პრევენციისა და დაცვის მიმართულებით სახელმწიფოს მიერ გაწეული ძალისხმევისა და ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, შესაძლოა, ქვეყანაში ადგილი ჰქონდეს ტერორისტულ თავდასხმას, ტერორიზმთან დაკავშირებულ სხვა დანაშაულის ჩადენას ან ძალადობრივი ექსტრემიზმის გამოვლინებას, რომელთა თავიდან აცილება და აღკვეთა სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ამოცანები:

სრულყოფილი, ყოველმხრივი, ეფექტიანი და მიუკერძოებელი გამოძიება.

ტერორისტული საქმიანობისთვის პასუხისმგებლობა განსაზღვრულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე თავით (ტერორიზმი). კოდექსის აღნიშნული თავით გათვალისწინებულ დანაშაულთა გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.

საგამოძიებო უფლებამოსილება გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას საზოგადოების წინაშე, შესაძლო ტერორისტულ დანაშაულზე მოახდინოს მყისიერი და ეფექტიანი რეაგირება. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ახდენს ტერორისტული დანაშაულის პრევენციას, გამოვლენას და აღკვეთას. აღნიშნულის ფარგლებში, სამსახური ახორციელებს საგამოძიებო და ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს, ოპერატიულ-სამძებრო და სხვა კანონებით/სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ მოქმედებებს. დანაშაულის ფაქტების სწრაფი, ეფექტიანი, სრული და ობიექტური გამოძიება მნიშვნელოვნად განაპირობებს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებას და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებას.

ტერორიზმთან, ძალადობრივ ექსტრემიზმსა და რადიკალიზაციასთან დაკავშირებით ინფორმაციის მოპოვების ან პრევენციული ღონისძიებების განხორციელების პროცესში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია ტერორისტული დანაშაულის ნიშნებს შეიცავდეს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრი გამოძიებას იწყებს.

სწრაფი, სრულყოფილი და ყოველმხრივი გამოძიების ჩატარებისთვის, კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და სხვა სამართალდამცავ უწყებებს შორის კოორდინაციასა და მჭიდრო თანამშრომლობას.

ტერორიზმთან დაკავშირებულ მტკიცებულებათა დასაშვებობის განსხვავებული სტანდარტის დადგენა.

სისხლის სამართლის კოდექსის ტერორიზმის თავით გათვალისწინებული დანაშაულების გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება, სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა და მტკიცებულებების გამოკვლევა საქართველოს გენერალური პროკურატურის კომპეტენციას წარმოადგენს. გამოძიების შედეგად ხდება მტკიცებულებათა მოპოვება და შემდეგ მათი სასამართლოში წარდგენა. სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში სახელმწიფოს მიზანია მართლწესრიგის დაცვა და სამართლიანობის აღდგენა დამნაშავისთვის სასჯელის დაკისრებით.

აღსანიშნავია, რომ ტერორიზმთან დაკავშირებით, სხვა კატეგორიის დანაშაულთან შედარებით, მტკიცებულებების მოპოვება კიდევ უფრო დიდ სირთულეს წარმოადგენს,

რაც აღნიშნული დანაშაულის გარკვეული სპეციფიკითაა განპირობებული. საგულისხმოა, რომ ტერორიზმი მყისიერ, რეალურ და მასშტაბურ საფრთხესთანაა დაკავშირებული. აღნიშნულზე სწრაფი რეაგირების განუხორციელებლობამ ჭესაძლოა გამოუსწორებელი შედეგი გამოიწვიოს. შესაბამისად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ ტერორისტული დანაშაულისთვის მტკიცებულების მოპოვებასა და დასაშვებობის საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული სტანდარტი არსებობდეს. აღნიშნულის მიღწევის შემთხვევაში, საჭიროა სახელმწიფომ უზრუნველყოს კანონის უზენაესობის პრინციპის, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, სხვა დემოკრატიული პრინციპების დაცვა. ამავდროულად, მნიშვნელოვანია მტკიცებულებათა სტანდარტის განსაზღვრის საკითხებზე უწყებათაშორისი თანამშრომლობა და საუკეთესო ევროპული და სხვა საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება.

კონტრტერორისტული საქმიანობის განმახორციელებელი სტრუქტურებისთვის გამოწვევას წარმოადგენს, რომ ტერორიზმთან დაკავშირებული პირები მუდმივად ცდილობენ თავდასხმების განხორციელების, ტერორიზმის დაფინანსებისა თუ მოქალაქეთა გადაბირების პროცესში ახალი მეთოდები გამოიყენონ. მნიშვნელოვანია, გამოძიების მწარმოებელ ორგანოს გააჩნდეს შესაბამისი შესაძლებლობები, რათა დროულად და ეფექტიანად მოახდინოს რეაგირება, სახელმწიფოსა და საზოგადოების დაცვა ტერორისტული საფრთხეებისგან. აღნიშნული თვალსაზრისით, სახელმწიფო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ბერკეტებს მუდმივად გააუმჯობესებს.

მოსალოდნელი შედეგი

ტერორისტული დანაშაული თავიდან აცილებული, გამოვლენილი და აღკვეთილია. აღსრულებულია მართლმსაჯულება.

სამართლებრივი რეგულირების ჩარჩოს განვითარება

მიზანი:

სახელმწიფოს მიზანია ჰქონდეს უახლეს ტერორისტულ საფრთხეებთან შესაბამისი, თანამედროვე სამართლებრივ ტენდენციებზე მორგებული, საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებთან თანხვედრაში არსებული კანონმდებლობა.

სახელმწიფოს მიერ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის განხორციელების სამართლებრივ საფუძველს აღნიშნული მიმართულებით არსებული ეროვნული კანონმდებლობა წარმოადგენს. კონტრტერორისტული საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმიდან მომდინარე საფრთხეებთან შესაბამისად განახლებული, საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების ნორმატიული ბაზის არსებობა. აღნიშნულის

განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და სხვა სტრუქტურების კოორდინირებული მუშაობა.

ამოცანები:

სამართლებრივი ბაზის ანალიზი საფრთხეებისა და საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებთან შესაბამისობის კონტექსტში.

იმისთვის, რომ სახელმწიფომ შეძლოს სწრაფად ცვალებად ტერორისტულ გამოწვევებთან გამკლავება, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით არსებული სამართლებრივი ჩარჩო საერთაშორისო გამოწვევების შესაბამის, მუდმივ კორექტირებას და სრულყოფას საჭიროებს. დღეისათვის საქართველო აღნიშნული მიმართულებით ძლიერ ნორმატიულ ბაზას ფლობს, რომელშიც გასულ წლებში არაერთი ცვლილება განხორციელდა, საგამოძიებო უფლებამოსილების ფარგლებში სამართალდამცავი უწყებების შესაძლებლობების გაუმჯობესების თვალსაზრისით. სახელმწიფო კვლავ გააგრძელებს კანონმდებლობის ანალიზს და როგორც გლობალურ, ისე ეროვნულ დონეზე გამოკვეთილი გამოწვევების შესაბამისად, არსებული საჭიროებების იდენტიფიცირებას მოახდენს. ამ თვალსაზრისით უზრუნველყოფილი იქნება საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა, განხორციელდება ეროვნული ნორმატიული ბაზის ანალიზი და, საჭიროებისამებრ, შესაბამისი ცვლილებები.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით ქვეყნის სამართლებრივი რეგულირების ჩარჩოს უწყვეტი განვითარება.

სახელმწიფო უზრუნველყოფს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით ნორმატიული ბაზის მუდმივ განახლებას და დახვეწას. სამართლებრივი რეგულირების ჩარჩოს მუდმივი სრულყოფის მიზნით, სახელმწიფო აქტიურად ითანამშრომლებს სამოქალაქო საზოგადოებასთან, უცხოელ პარტნიორებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და აღნიშნული მიმართულებით არსებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკით იხელმძღვანელებს.

მოსალოდნელი შედეგი:

საქართველოს აქვს ტერორიზმიდან მომდინარე უკანასკნელი პერიოდის საფრთხეების შესაბამისად განახლებული, სრულყოფილი ნორმატიული ბაზა.

საერთაშორისო თანამშრომლობა

მიზანი:

საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა ტერორიზმის/ძალადობრივი ექსტრემიზმისა და მისი ყველა გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით.

ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო თანამშრომლობას, მათ შორის, ინფორმაციის გაცვლის, გამოცდილების გაზიარებისა და კოორდინაციის მიმართულებით. საერთაშორისო თანამშრომლობა და კოორდინაცია გლობალურ დონეზე ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის გაძლიერების ხელშემწყობი ფაქტორების მინიმიზაციასა და აღმოფხვრაში წვლილის შეტანას გულისხმობს.

საქართველო აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო ძალისხმევაში ტერორიზმთან ბრძოლის მიმართულებით და საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად გააგრძელებს დაპირისპირებას აღნიშნულ გამოწვევასა და მის ყველა გამოვლინებასთან. სახელმწიფოსთვის პრიორიტეტად რჩება საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობებისა და თანამშრომლობის გაღრმავების საკითხი.

ამოცანები:

ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების სავალდებულოდ აღიარება და ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო სამართლებრივი ბაზის განვითარება.

საქართველო არის გაეროს კონტრტერორისტული კონვენციების/ოქმების, ასევე ევროპის საბჭოს ფარგლებში მიღებული ტერორიზმთან ბრძოლის კონვენციების/ოქმების მონაწილე. აღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულებების, ისევე როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებისა და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების დებულებები იმპლემენტირებულია საქართველოს კანონმდებლობაში.

საქართველოს გაფორმებული აქვს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის, სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის, საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ საერთაშორისო შეთანხმებები სხვადასხვა საერთაშორისო პარტნიორთან, მათ შორის, ევროკავშირსა და მის შესაბამის ორგანოებთან, კერძოდ, ევროკავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოსა (ევროპოლი) და ევროკავშირის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში თანამშრომლობის სააგენტოსთან (ევროჯასტი). სახელმწიფოსთვის პრიორიტეტულია ახალი საერთაშორისო შეთანხმებების გაფორმება ევროკავშირისა და ნატოს წევრ და სხვა პარტნიორ სახელმწიფოებთან.

სახელმწიფო გააგრძელებს საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების სავალდებულოდ აღიარების, საქართველოს კანონმდებლობაში მათი იმპლემენტაციის პროცესსა და ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო სამართლებრივი ბაზის განვითარებას.

ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლის სფეროში მრავალმხრივ ფორმატებში მონაწილეობა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

საქართველო გახდა „დაეშის" წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური კოალიციის აქტიური წევრი მისი შექმნის საწყის ეტაპზე და აქტიურად მონაწილეობს კოალიციის სხვადასხვა აქტივობაში.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საქართველო ორიენტირებულია ნატოსთან, ევროკავშირთან, გაეროსთან, ევროპის საბჭოსა და ეუთოსთან თანამშრომლობაზე, ასევე, სხვადასხვა მრავალმხრივ ფორმატსა და ინიციატივაში ჩართულობაზე.

საქართველო ექსპერტულ დონეზე აქტიურად მონაწილეობს გლობალურ კონტრტერორისტულ ფორუმში, ევროპის საბჭოს კონტრტერორისტული კომიტეტის (CDCT) შეხვედრებში, ასევე კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია - ინტერპოლის, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციისა (BSEC) და დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის (GUAM) ფარგლებში შექმნილ სამუშაო ჯგუფებში.

საქართველო გააგრძელებს ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციებთან და მრავალმხრივ ფორმატებში თანამშრომლობის გაღრმავების პროცესს, ასევე, ჩართულობას შესაბამის საერთაშორისო ინიციატივებში, რომლებიც მიზნად ისახავს ტერორიზმის აღკვეთას, ტერორიზმის მცდელობების გამოვლენას, საპასუხო ზომების შემუშავებასა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილების გაზიარებას.

ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლის სფეროში პარტნიორი ქვეყნების შესაბამის სამსახურებთან ორმხრივი თანამშრომლობის გაძლიერება და ინფორმაციის გაცვლის ეფექტიანი მექანიზმების განვითარება.

საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე, საქართველო ეფექტიანად თანამშრომლობს პარტნიორ სახელმწიფოებთან ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით.

საქართველოსთვის პრიორიტეტულია საქართველოს მთავარ სტრატეჯიულ პარტნიორთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობის განვითარება შესაბამისი ორგანოებისა და პროგრამების მეშვეობით. გარდა ამისა, საქართველოსთვის პრიორიტეტულია ნატოსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან, ასევე მეზობელ ქვეყნებთან, კერძოდ, აზერბაიჯანთან, თურქეთთან, სომხეთსა და რეგიონის შესაბამის ქვეყნებთან თანამშრომლობის შენარჩუნება და განვითარება ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში.

საქართველო ორმხრივ თანამშრომლობას ახორციელებს უსაფრთხოების/პოლიციის ატაშეებისა და მეკავშირე ოფიცრების ფართო ქსელის გამოყენებით, პარტნიორი ქვეყნების შესაბამის უწყებებთან პირდაპირი ორმხრივი არხებისა და კავშირების, ასევე, ორმხრივი სამუშაო ჯგუფებისა და საერთაშორისო შეხვედრების მეშვეობით, სამართალდაცვით და სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში.

სახელმწიფო გააგრძელებს მუშაობას ორმხრივი თანამშრომლობის განვითარებისა და გაღრმავების, პარტნიორი სახელმწიფოების შესაბამის უწყებებთან ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების, ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების მიმართულებით.

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების თაობაზე პერიოდული ანგარიშების მომზადება, საერთაშორისო ანგარიშები და შეფასებები.

საქართველო განაგრძობს საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების თაობაზე პერიოდული ანგარიშების მომზადებას. ამასთან, საქართველო აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის საზედამხედველო ორგანოებთან და უზრუნველყოფს მათთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას. ტერორიზმისა და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის სფეროში საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გაეროს კონტრტერორისტული კომიტეტის (CTED), ევროპის საბჭოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელი ექსპერტთა კომიტეტის (MONEYVAL), ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშებს, შეფასებასა და რეკომენდაციებს.

მოსალოდნელი შედეგი:

გაღრმავებულია თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან ტერორიზმის/ძალადობრივი ექსტრემიზმის და მის ყველა გამოვლინებასთან ბრძოლის მიმართულებით, მათ შორის, გაფორმებულია ან/და მიმდინარეობს მუშაობა საერთაშორისო სამართლებრივი ბაზის განვითარებისთვის.

ინსტიტუციური მექანიზმები, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელება

საქართველოს მიერ ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებით განხორციელებისთვის, შესაბამისი უწყებების ერთობლივი ძალისხმევა აუცილებელია. ასევე მნიშვნელოვანია აღნიშნულ პროცესში სახელმწიფოს

კოორდინაცია კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან. ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიან სახელმწიფო სისტემაში, აღნიშნული მიმართულებით, ორგანიზებისა და რესურსებით უზრუნველყოფის ფუნქცია საქართველოს მთავრობას აკისრია, ხოლო აღნიშნულ სტრუქტურაში კონტრტერორისტული საქმიანობის განმახორციელებელ ძირითად უწყებას საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური წარმოადგენს. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ასევე მონაწილეობენ სხვა სახელმწიფო უწყებები, საჯარო ინსტიტუტები და ორგანიზაციები.

საქართველოს ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის განხორციელებისას, სახელმწიფო აქტიურად ითანამშრომლებს საერთაშორისო პარტნიორებსა და ორგანიზაციებთან. იმპლემენტაციის პროცესის ზედამხედველობას მოახდენს საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის № 469 დადგენილების საფუძველზე შექმნილი უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომისია, რომლის ძირითად კომპეტენციას სწორედ აღნიშნული სტრატეგიის და მისი სამოქმედო გეგმის შექმნისა და განხორციელების პროცესის კონტროლი (მონიტორინგი) წარმოადგენს.

წინამდებარე დოკუმენტით და მისი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების შესრულებისას უწყებები ანგარიშვალდებულნი იქნებიან აღნიშნული კომისიის წინაშე.

საქართველოს ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის ვადა განსაზღვრულია 2022-2026 წლების პერიოდით. დოკუმენტის შესრულების ანგარიში მომზადდება წელიწადში ერთხელ, ასევე, ამგვარი აუცილებლობის შემთხვევაში. სტრატეგიის გადახედვის შესაძლებლობა გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობისა და ზემოხსენებული უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომისიის შესაბამისი რეკომენდაციით.